დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობა

ქ.თბილისი, ა.ანტონოვსკაიას ქ. №10,
ს.კ. 01.10.16.004.075
შენობა ნაგებობა 01/2 და 02/1

დამკვეთი: შ.პ.ს. "ორბი ჯგუფი თბილისი"
ID: 405107682

შეასრულა: ნ.ხვიბლიანი

2023წ.

თავფურცელი

1.შესავალი
2.სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება
3.სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა
4.სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები
5.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები
6.რეკომენდირებული მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი
7.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება
8. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება და გატანა
9.ეკოლოგია და ბუნების დაცვლის საკითხები
10. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმის გრაფიკული ნაწილი

1. შესავალი

ქ. თბილისის, ა.ანტონოვსკაიას ქუჩა №10_ში, არსებული არასაცხოვრებელი დანიშნულების მქონე, დღეის მდგომარეობით უფუნქციო შენობა ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი (მოჯი), დამუშავებულია შპს "მეტრი" -ს მიერ.

წინამდებარე სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1.1.სნდაწ 3.01.01-85 - სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია
1.2. სნდაწ 1.04.03-85 - მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები
1.3. სნდაწ III-4-80 - უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში
1.4. სნდაწ 3.02.01-87 - მიწის ნაგებობები. ფუძეები და საძირკვლები
1.5. ტექნიკური რეგლამენტი - მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ
1.6. ტექნიკური რეგლამენტი - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები
1.7. ტექნიკური რეგლამენტი - სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ
1.8. საქართველოს კანონი - ნარჩენების მართვის კოდექსი
1.9. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება 4
1.10. ტექნიკური რეგლამენტი - ნარჩენების ტრანსპორტირების წესები

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სნდაწ 3.01.01-85*-ის მოთხოვნის თანახმად დემონტაჟის შემსრულებელმა სამშენებლო ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტის დამუშავება.

აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოების დაწყება დამტკიცებული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტის გარეშე.

აუცილებელია განხორციელდეს სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე დამკვეთის ტექნიკური ზედამხედველობა

2 სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

ქ. თბილისში, ა.ანტონოვსკაიას ქუჩა №10_ში იგეგმება 2 ,დღეის მდგომარეობით არასაცხოვრებელი, შენობა ნაგებობის დემონტაჟი რომელმებიც ტერიტორიაზე გვერდიგვერ არის განლაგებული.

შენობა 01/2 და 02/1 - არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობა აღნიშნული შენბა ნაგებობების კონსტრუქციული აგებულება: ფილა მონილითური საძირკველი, სავარაუდო ჩაღრმავება 0.00 ნიშნულიდან არის 3.40 _ნიშნულამდე. სართულის განივი კედლები წითელი აგური, მცირე ნაწილები ბეტონის ბლოკის, ზემოდან შემაკავებელი რკინაბეტონის სარტყელი. ძირითადი გადახურვა 2 ქანობიანი, ხის სისტემაზე მოწყობილი ფიქალის გადახურვა. სახურავზე მოწყობილია მანსარდული სამერცხლულები 2 ქანობიანი, ფიქალის გადახურვა. 2 ქანობიანი სახურავის ღია ნაწილები შევსებულია აგურიდ ბლოკით და ხის ღიობებით. დაგეგმილია ორივე შენობის სრული დემონტაჟი

3 სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

3.1. სადემონტაჟო შენობის დემონტაჟის სამუშაოთა წარმოების ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85 და ს6.440-72, მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმების და დამხმარე სარეჯონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრას საფუძველზე, სადემონტაჟო სამუშაოთა ეტაპობრიობისა, შეთავსებადობის გათვალისწინებით და შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 45 სამუშაო დღე, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა- 10 დღე.

3.2. ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობა, სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები, ხანგრძლივობა მოცემულია სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმაში.

4 სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

4.1. შენობის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად: პირველი რიგი-მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები(ერთი ეტაპი). მეორე რიგი- ძირითადი პერიოდის სამუშაოები (ხუთი ეტაპი).

მოსამზადებელ პერიოდში ხორციელდება შემდეგი სამუშაოები ერთ ეტაპად (სამუშაოები ხორციელდება პარალელურ რეჟიმში):

1. სადემონტაჟო მოედნის შემოღობვა დროებითი ღობით
2. დროებითი შენობების მოწყობა.
3. დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა.
4. სადემონტაჟო შენობის შიგა ქსელების (არსებობის შემთხვევაში) გამორთვა გარე ქსელებიდან .

4.2. სახიფათო ზონების აღნიშვნა გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნებით და სიგნალებით.

შენობის სადემონტაჟო სამუშაოები ხორციელდება ხუთ ძირითად სადემონტაჟო ეტაპად:

I ეტაპი- არსებული გადახურვის სრული დემონტაჟი მთელ შენობაზე,
II ეტაპი - არსებული კარ-ფანჯრის და მსუბუქი კონსტრუქციების დემონტაჟი
III ეტაპი - შენობის გარე და შიდა კედლების სრული დემონტაჟი
IV ეტაპი - საძირკვლის დემონტაჟი
V ეტაპი - ნარჩენების გატანა

4.3. სადემონტაჟო სამუშაოები იწარმოება ზემოდან-ქვემოთ , ელემენტური დაშლის და დაშლა-მონგრევის მეთოდებით, დემონტაჟის სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიის შესაბამისად.

4.4. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტში დეტალურად დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების რიგობრიობა და ეტაპები.

შენობის სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროცესში სრული დემონტაჟი ჩაურატდება შენობას. მიწის ზედაპირი ხასიათდება სწორი ზედაპირით ამიტომ საძირკვლის ფილის დემონტაჟის შემდეგ საჭიროების შემთხვევაში წარმოქმნილი ქვაბული შეივსება მიწით.

დემონტაჟის პროექტის შენაერები ჯალენდალური გეგმა

ქ.თბილისი, ა.ანტონოვსკაიას ქუჩა №10, შენობა ნაგებობა 01/2 და 02/1 ს.კ. 01.10.16.004.075

ეტაპები	მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები	მშენ. ხანგრძ. დღეების მიხედვით	45 დღე								
			15 დღე			30 დღე			45 დღე		
			15 დღე			15 დღე			15 დღე		
			5	10	15	5	10	15	5	10	15
	მოსამზადებელი სამუშაოები										
I	სადემონტაჟო მოედნის შემოღობვა დროებითი ღობით, დროებითი შენობების მოწყობა, დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა	10									
	დემონტაჟის სამუშაოები										
II	არსებული გადახურვის სრული დემონტაჟი მთელ შენობაზე	5									
III	არსებული ჯარ-ფანჯრის და მსუბუქი კონსტრუქციების დემონტაჟი	5									
IV	შენობის გარე და შიდა კედლების სრული დემონტაჟი	10									
V	საძირკვლის დემონტაჟი	10									
VI	ნარჩენების გატანა	5									

1. დემონტაჟის დაწყება აითვლება ნებართვის გაცემის დღიდან.
2. მშენებლობის ხანგრძლივობა მიღებულია 45 დღის პერიოდით.
3. ჯალენდარულ თვეში მიღებულია 25 სამუშაო დღე შაბათის ჩათვლით, ჯვირა დასვენების დღედ არის ჩათვლილი.

მოპ-2

დამკვეთი: შ.პ.ს. "ორბი ჯგუფი თბილისი"

შეასრულა: ნ.ხვიბლიანი

5 სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

შენობის სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან სადემონტაჟო შენობის ყველა შიგა კომუნიკაცია (არსებობის შემთხვევაში: დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა).

სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი.

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა,განლაგება და მაქსიმალური წონა.მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული დემონტაჟის დაწყება.

სადემონტაჟო სამუშაოები იწარმოებს ზემოდან-ქვემოთ, შენობის სადემონტაჟო სართულების მიხედვით. ამასთანავე ჯერ ქვეშ დემონტაჟის დაწყება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვერტიკალურ სიბრტყეში მისი ზედა სივრცე მთლიანად დემონტირებულია.

ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტში დამუშავდეს კონსტრუქციების ელემენტური დაშლის დეტალური მეთოდები და ტექნოლოგიური თანამიმდევრობა. სართულებზე ჰირველ რიგში დემონტირებული იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კონსტრუქციები და დეტალები, დემონტაჟის ტექნოლოგიის სრული დაცვით.

აუცილებლობის შემთხვევაში მოხდეს სადემონტაჟო კონსტრუქციების დროებითი დამაგრება- დაჭერა, ჰირველ რიგში კი ავარიული კონსტრუქციების.

სადემონტაჟო სამუშაოები ელემენტების შესაბამისად იწარმოება შემდეგნაირად:

დარჩენილი საინჟინრო ქსელების დაშლის დროს ხდება მათი დანაწევრება დაჭრით. შეერთებების დაშლა შესაძლებელია ხელის ჩაქუჩებით. აგურის მზიდი კედლების დემონტაჟი ხორციელდება სველი მეთოდით, ორი გზით:

ა) ელემენტური დაშლის გზით-მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი აგურის დემონტაჟი.

ბ) დაშლა-მონგრევის გზით, ჰნევმატური სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით.- მეორადი გამოყენებისთვის უვარგისი აგურის დემონტაჟი.

აგურის კედლების და ტიხრების დაშლისას გამოყენებულ იქნას დროებითი ინვენტარული ხარაჩოები.

მონოლითური რკ/ბეტონის და ბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟი ხორციელდება დაშლა-მონგრევის მეთოდით, ხელით, ჰნევმატური სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით, სველი მეთოდით. აჯრძალულია ექსკავატორ-კოდალას გამოყენება.

ლითონისა და ხის ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟი ხდება ელემენტური დაშლის მეთოდით, ხელით, მცირე მექანიზაციის საშუალებათა გამოყენებით(ელემენტების ჩაჭრით).

დემონტირებული მასალების გადატანა დასაწყობების ადგილებამდე და ბორტულ მანქანამდე და დატვირთვა ხდება ხელით და მცირეგაბარიტული ბულდოზერ-დამტვირთავით.

სამშენებლო ნაგვის მოგროვება და დატვირთვა ხდება ხელით და მცირეგაბარიტული ბულდოზერ- დამტვირთავით. სამშენებლო ნაგვის გატანა სადემონტაჟო მოედნიდან ხორციელდება ნაგავსაყრელზე ავტოთვითმცლელით, ხოლო დემონტირებული ვარგისი მასალების გატანა ხდება ბორტული ავტომანქანით.

დატვირთვის დროს ბორტული მანქანა და ავტოთვითმცლელი დგას სადემონტაჟო მოედნის გარეთ, არსებულ დროებით გზაზე გვერდული დგომით

მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი დემონტირებული მასალები,დეტალები და კონსტრუქციები გატანამდე დასაწყობდება სადემონტაჟო მოედანზე.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას დაცული უნდა იქნას სნდაწ III-4-80 *ის მოთხოვნები და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტში.

6.რეკომენდირებული მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

6.1. მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში:

№	დასახელება	მარკა	რაოდ. ცალი
1	მცირე ჩამჩისმოცულობიანი ექსკავატორი ბულდოზერის ფარით	უცხოური წარმოების	1
2	ავტოთვითმცლელი, სპეც. ავტოთრანსპორტი სამშენებლო სამშენებლო ნაგვის გასატანად	სხვადასხვა	2
3	ბობკარი	უცხოური წარმოების	1
4	გადასატანი კომპრესორი	CO - 45	2
5	ხის და ლითონის სახარაჩო სექციები 100 კვმ.	კომპ.	1
6	ბორტიანი სატვირთო ავტომობილი	უცხოური წარმოების	2
7	გადასატანი კომპრესორი	უცხოური წარმოების	1
8	დიზელ გენერატორი 100კვა.	CO - 48	2
9	ჰნევმატური ინსრუმენტები: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა	კიმპ.	5
10	სხვადასხვა დანიშნულების ხელსაწყოები: ნიჩაბი, ბარი, ლომი, წერაქვი, ჩაქუჩი და სხვა	კიმპ.	10

6.2. რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტმოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

7 სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაშიის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით და ასევე სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

7.1.სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სადემონტაჟო სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ღონისძიებები.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა კომუნიკაციები (დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა) უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

7.2. ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები,განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა. პირველ რიგში დემონტირებულ იქნას ავარიული კონსტრუქციები. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონის მაქსიმალური საზღვარი სადემონტაჟო შენობის გარე კონტურიდან შეადგენს 3,0 მეტრს. სახიფათო ზონა აუცილებლად უნდა მოექცეს სადემონტაჟო მოედნის დროებითი ღობის (საჩეხიანი) კონტურში და აღინიშნოს დღე-ღამურად კარგად დასანახი ნიშნებით და სიგნალებით.

დროებითი ღობის მოწყობის საკითხი დეტალურად დაზუსტდეს უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ.

7.3. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სადემონტაჟო მოედანზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონაში.

დემონტაჟის სახიფათო ზონის მოცემული რადიუსი დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტშიან უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის სამუშაოთა დაწყების წინ.

7.4. სადემონტაჟო მოედანზე მყოფი ყველა მუშა და ინჟინერტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით(უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელები, რეზინის ხელთათმანები, დამცავი ჩაფხუტები , რესპირატორები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის,უსაფრთხოების ქამრების,რესპირატორების ,დამცავი სათვალეების და სხვათა გარეშე. აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი საჰაერო ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი საჰაერო ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანამექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწესის საფუძველზე.

7.5. აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოება უშუალოდ მოქმედი მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ, მოქმედი მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის ქვეშ და ასევე მოქმედი დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ. ყველა ამ ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოება დასაშვებია მხოლოდ ამ ხაზების გამორთულ და უმოქმედო მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში.

მოქმედი მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების სიახლოვეს(მათ დამცავ ზონაში), მოქმედი მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის დამცავ ზონაში (20 მეტრი კიდურა ხაზიდან) და მოქმედი დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების სიახლოვეს(მათ დამცავ ზონაში)

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწესის საფუძველზე. დამშვებ განწესს გასცემს შესაბამისი ხაზის ან ქსელის მფლობელი ორგანიზაცია.

მაღალი ძაბვის ელ გადამცემ ხაზებთან(ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) და ასევე მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის ხაზებთან (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) 3,0 მეტრზე ახლოს, ხოლო დაბალი ძაბვის ელ. გადამცემ ხაზებთან (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) 2,0 მეტრზე ახლოს ნებისმიერი სადემონტაჟო სამუშაოს წარმოება დაუშვებელია.

7.6. სადემონტაჟო სართულებიდან სამშენებლო ნაგვის ვერტიკალური ტრანსპორტირება ხდება დახურული ღარებით.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეთ სისტემური სწავლებები და ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში.

მხოლოდ ამ სწავლებების და ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

7.7. ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათოზონებში ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ,გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს.

7.8. სამუშაოები უნდა შესრულდეს უშუალოდ უსაფრთხოების მენეჯერისა და სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

7.9. თითოეულ სართულზე სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია ადამიანთა ყოფნა ამ სადემონტაჟო სართულის ქვემოთ განლაგებულ სართულებზე.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების უსაფრთხოებაზე უშუალოდ პასუხისმგებელია უსაფრთხოების მენეჯერი და სამუშაოთა მწარმოებელი.

7.10. სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით არსებულ ნაგავსაყრელზე (დაზუსტდეს დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ).

7.11. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას არსებული მწვანე ნარგავები დაცული უნდა იქნას დაზიანებისგან. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან. ამ მიზნით სამუშაოთა წარმოებისას შეიფუთოს სადემონტაჟო შენობის გარე ფასადები წვრილი მავთულბადით და ტენტით.

8. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება და გატანა

დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 421დადგენილების და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 211 ბრძანების შესაბამისად.

8.1. შენობის დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობებისა და გატანის გეგმა მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

1. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დროებითი დასაწყობება სადემონტაჟო მოედანზე.

2. სამშენებლო ნაგვის დატვირთვა და ტრანსპორტირება სადემონტაჟო მოედნიდან ნაგავსაყრელზე.

3. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გატანა სადემონტაჟო მოედნიდან.

8.2. მეორადი სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები სადემონტაჟო მოედანზე უნდა დასაწყობდეს განცალკევებულ სასაწყობო მოედნებზე, სახეობების შესაბამისად.

სასაწყობო მოედნებზე დასაწყობებული ყველა მეორადი სამშენებლო მასალა და კონსტრუქცია ზემოდან და გვერდებიდან უნდა დაიფაროს დამაგრებული დროებითი საფარით (ტენტით ან პოლიეთილენით), ხოლო მათ ქვემოთ მოეწყოს ხის დროებითი ფიცარნაგი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დემონტაჟის შედეგად წარმოშობილიდა მოგროვილი ამტვერებადი სამშენებლო ნაგვის დროებით დაფარვას.

8.3. აკრძალულია მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება მათი დროებითი საფარით დაფარვის გარეშე.

სასაწყობო მოედნები მოეწყოს ისე, რომ გამოირიცხოს მათზე ატმოსფერული ნალექების შედწევა (მიწის დონიდან ამაღლება, მოედნის გვერდების შემოფარგვლა და სხვა).

სადემონტაჟო მოედანზე მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება უნდა მოხდეს ხანმოკლე ვადით.

აკრძალულია წვადი სამშენებლო ნარჩენების სადემონტაჟო მოედანზე დაწვა. ასევე აკრძალულია ზეთების და საპოხი მასალების არსებულ საკანალიზაციო ქსელში ჩაშვება.

8.4. სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ტექნიკური რეგლამენტის ნარჩენების ტრანსპორტირების წესების თანახმად.

სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე ხორციელდება ბულდოზერ-დამტვირთავით. ნაგვის დამუშავება ხდება სველი მეთოდით. ნაგვის ტრანსპორტირება ხდება ავტოთვითმცლელებით.

8.5. ავტოთვითმცლელებზე დატვირთული სამშენებლო ნაგავი ზემოდან უნდა დაიფაროს ტენტით ან პოლიეთილენით, რათა გამორიცხულ იქნას მისი ტრანსპორტირებისას გარემოს დაბინძურება.

სამშენებლო ნაგავი დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ ტრანსპორტირდება სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

8.6. სადემონტაჟო მოედნიდან მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გატანას უზრუნველყოფს დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაცია.

მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების ტრანსპორტირება ხორციელდება ბორტული ავტომანქანებით .

9. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

9.1. დემონტაჟის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად.

9.2. შენობის დაშლა, დანგრევის სამუშაოების შესრულების პერიოდში ფასადებს საჭიროა ჩამოეფაროს ფარდა, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებულ ზონაში.

9.3. დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭებში, ბეტონ და ხსნარ მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება ნარჩენებით.

9.4. ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

9.5. გარემოს დაცვის სამსახურიდან ნებართვის გარეშე შენობების სადემონტაჟე ზონაში იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

9.6. ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მომქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისობით.